

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საზოგადოებრივი მაუწყებელი  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

თბილისი

2016 წლის 1 ივლისი

№ 151

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტკიცების და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დროის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.
2. არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო ▪ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, რადიოარხებზე: FM102.4 და FM100.9 განისაზღვროს დღეში არაუმეტეს 60 წმ-ის ოდენობით ყველა არაკვალიფიციური სუბიექტისთვის 19:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2016 წლის 4 ივლისიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 აგვისტომდე.

დანართი 1 ფურცლად

გენერალური დირექტორი



გიორგი ბარათაშვილი



მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2016 წლის 4 ივლისიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 18 წუთს, მეორე არხზე 15 წუთს, ხოლო რადიოებზე FM 102.4 FM 100.9 15 წუთს.

ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	2 400	2 400
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	4000	4000
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	9600	9600
01:00-05:00	ორშაბათი - კვირა	2300	2400

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
08:00-11:59	ორშაბათი - კვირა	2 000	2 000
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	3000	3000
18:00-23:59	ორშაბათი - კვირა	7000	7000
00:00-02:00	ორშაბათი - კვირა	1500	1500

რადიო FM 102.4 FM 100.9			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	1000	1000
12:00-18:59	ორშაბათი - კვირა	1200	1200
19:00-23:59	ორშაბათი - კვირა	800	800
00:00-02:00	ორშაბათი - კვირა	900	900

„1“ ივლისი 2016 წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი

გიორგი ბართაშვილი

